საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 180, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ 330

შაბათი ოქტომბრის 28
1922

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო აკადემიური დრამა

შაბათს 26 ოქტომბერს

დ. კლდიაშვილის

I
ირინეს ბედნიერება
II
უბედურება

დადგმა ა. ფაღავასი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.
2—2

სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ოპერა

შაბათს, 28 ოქტომბერს

ქეთო და კოტე

კვირას, 29 ოქტომბერს

აიდა

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულ. კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.
1—1

შაბათს 28 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე ალმასკომის შენობაში შესდგება ალმასკომის მორიგი სხდომა. დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა

№ 2481—98

სტიქიის წინააღმდეგ

ამ დღეებში განმეორებული სტიქია მთელი საქართველოს მასშტაბით,—ჩვენს გარუშეა, მეტად დიდი უბედურებაა ჩვენი გაღატაკებული სოფლისა და დამშეული ხალხისათვის.

მიმდინარე წლის კარგი მოსავლის პირი იმთავითვე იმედს გვაძლევდა, რომ ჩვენი სოფელი, წარსული წლის მოუსავლობის და ნახევრად შიმშილობის შემდეგ წელში გამოსწორდებოდა და თავის ტკივილებს ოდნავ მაინც შეიმსუბუქებდა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ამ მხრივ მეტად კარგი მდგომარეობა იყო და წრევანდელი მოსავალი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ დაწვრილებითი ცნობები არა გვაქვს,—შესაძლებელს ხდიდა ქვეყნის უზრუნველყოფას მოსავლით ერთი წლით მაინც. ჯერ კიდევ ენკენისთვეში მოსხდარმა გამანადგურებელმა წყალდიდობამ საგრძნობლად შეამცირა და ფრთები შეკვეცა იმ იმედებს, რომელიც მაშინ გვესახებოდა. გურია, სამეგრელოს ნაწილი, შორაპნის და ქუთაისის მაზრები,—მეტად ფართო გავლენის ქვეშ გახდნენ ამ წყალდიდობისა. განადგურებულ იქნა არა მარტო ნაწილი მოსავლისა, არამედ სანახევროდ მოსპობილ იქნა ხალხის მიერ ათეულ წლობით დაგროვილი ქონება და დოვლათი. ოზურგეთის მაზრამ ამ მხრივ მეტად დიდი ზარალი განიცადა.

თითქოს საკმარისი არ ყოფილიყოს ეს უბედურება, ამ დღეებში ჩვენ მოწმე გავხდით კიდევ უფრო მეტი სიძლიერით სტიქიის ამუშავებისა. ახლა ეს უკვე მოედვა თითქმის მთელ საქართველოს და როგორც ცნობები გვაუწყებენ, მის მოქმედების ქვეშ არის დიდი ნაწილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსი. ამ უკანასკნელმა წყალდიდობამ, შესაძლებელია იმდენად დიდი ზარალი არ მოიტანა მოსავლის განადგურებით, რადგან ეს უკვე მოწეულია,—რამდენადაც საერთო მატერიალური დაზარალებით როგორც სახელმწიფოსი, ისე ხალხისა. ჩვენი რკინის გზები იმდენად დაზარალდა, რომ გარდა იმისა, რომ მოკლე ხანში წესიერი მიმოსვლა ვერ აღდგება,—საჭირო ხდება დიდი მატერიალური საშუალების მიღება წყალდიდობის შედეგების გასაქარწყლებლად. ჩვენი სოფლის გზები და ხიდები ხომ ალბათ,—მთლად განადგურდებოდენ.

ასეთი ძლიერი სტიქიის შედეგებთან ბრძოლა მოითხოვს გამოყენებულ იქნეს ყოველი საშუალება, როგორც არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, ისე მომავალში იმ ზარალთა შესამცირებლად, რომელიც მოსალოდნელი არის მსგავს შემთხვევებში განმეორების დროს. უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაწვრილებითი გამოკვლევა წყალდიდობის შედეგებისა ყველა იმ რაიონებში, რომელნიც მის ქვეშ მოხვდნენ: ამ ცნობებმა ნათელი წარმოდგენა უნდა მოგვცენ იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ხალხის დაზარალება წყალდიდობით და აგრეთვე ის, თუ რამდენად გაფუჭებულია გზები, ხიდები და მთლად მცხოვრებთა მოსახლეობის ადგილები. ამისათვის საჭიროა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისიის მუშაობა ადგილობრივ. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მიზანშეწონილი მუშაობა და ბრძოლა ზარალის წინააღმდეგ.

ჩვენმა ხალხმა მიმდინარე მაგალითებით საბოლოოდ უნდა შეიგნოს, თუ რამდენად საჭირო ხდება ტყეების წესიერი შენახვა და გაჩეხვა. მან თავისავე ძალ ღონით,—სახელმწიფოს ფართო დახმარებასთან ერთად,—უნდა იმუშაოს იმისთვის, რომ ჩვენ მდინარეთ წესიერი კალაპოტი და მიმართულება მიეცეთ და მუდამ წარღვნის შიში ქვეშ არ იყოს; და ბოლოს, სახელმწიფოებრივი ორგანოების ვალდებულებაა გააძლიერონ ამ მხრივ მუშაობა და გადაცილონ იმ უბედურების გადატანას, რომელიც ასე ხშირად ევლინება სტიქის სახით ჩვენს მხარეს, ჩვენი ყურადღება და ენერგია,—ამ საქმისათვის უნდა მივმართოთ, თუ კი გვსურს საზღვარი დავდვას, ოდნავ მაინც,—ჩვენი ხალხის სისტემატიურ მატერიალურ განადგურებას...

განი.

უნდა სიმართლე ითქვას

დღევანდელ დღემდის ჩვენში კიდევ მოიპოებიან ისეთი ხალხი, რომელთაც სჯერავთ მენშევიკების პოლიტიკა, მათი დაბრუნება და გამეფება.

არიან ხალხი (და რასაკვირველია მენშევიკების ბანაკიდან), რომელნიც კვლავ იმეორებენ მენშევიკების სიტყვებს: საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენ მივეცითო, ჩვენ გადავარჩინეთ აწიოკება-აკლებას და საერთაშორისო ცხოვრების ორბიტში ჩვენ შევიყვანეთო. ეს ცრუ პენტელა ხალხი კიდევ არ ესხნებიან საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელით ცდილობენ თავიანთ ზრახვების განხორციელებას. საქართველოს დამოუკიდებლობის გახსენებაზე მენშევიკებს რომ რაინდობა ჰქონდეთ, შერცხვენილები გაჩუმდებოდნენ.

ნუ თუ მენშევიკებს დაავიწყდათ ის დღეები, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობის კი არა, საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი იყვნენ და ვინც ახსენებდა საქართველოს ავტონომიას, სიბრაზისგან შავ რაზმელად ნათლავდნენ. მენშევიკები არ იყვნენ, რომ საქართველოში არ დარჩათ არც ერთი კუთხე, რომ თავიანთი შიკრიკები არ დაეგზავნათ ხალხში ხმის გასავრცელებლად, რომ ავტონომია—ბატონყმობა არის და ავტონომიის მომ[illegible]

შემდეგ, როდესაც ისტორიულ პირობებმა, ხალხის სურვილმა და ნების ყოფამ აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მენშევიკები მაშინ კი საქართველოს დამოუკიდებლობას ორივე ხელით მოეჭიდნენ და მაღალ თაროებზე შესხდნენ, რათა თავიანთი ბატონობა არ დაეკარგათ და უფრო განემტკიცებინათ. მენშევიკებმა რაკი ისეთი კოზირი ჩაიგდეს ხელში, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, თავიანთი წინანდელი მოღვაწეობა სრულიად გადაავიწყდათ და ხალხს დიდ მფარველებად მოევლინენ.

რა იყო მენშევიკებისთვის საქართველოს დამოუკიდებლობა! წმინდათა წმინდა საგანი? სრულიად არა. საქართველოს დამოუკიდებლობა—მენშევიკებისთვის ეს მენშევიკური პარტიის გაძლიერება იყო. ბოლოს კი თვითონაც მენშევიკები აღარ მალავდნენ და ხმა მაღლა ამბობდნენ: საქართველოს დამოუკიდებლობა ჩვენთვის ფეტიში არ არისო. დიდაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მათ გულს და სულს არაფერს ეუბნებოდა და მუდამ ხალხის, ერის ინტერესებს დაბლა აყენებდნენ, ხოლო თავიანთ ვიწრო პარტიულ ინტერესებს კი მტკიცედ იცავდნენ.

როდესაც საქართველოს ცხოვრების ორგანიზმში გარდატეხა და ცვლილება მოხდა—მენშევიკები გაიფანტ-გამოიფანტნენ და ტირილი დაიწყეს ვითომ და საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით. მაგრამ მენშევიკების ტირილი და გოდება უფრო სხვა არის: დაკარგეს თავიანთ ბატონობის, თავიანთ ჰეგემონიის და დღეს კიდევ იმედი აქვთ თავიანთი ზრახვების განხორციელებისა, მაგრამ ქართველმა ხალხმა უკვე იწვნია მენშევიკებისგან ლახტები და ისე ადვილად აღარ წამოეგება მის დაგებულ ანკესზე.

მენშევიკებმა და სხვა ყველამ [illegible] ერი არავის გაათელინებს თავის უფლებებს და ვინც მის მოსპობას მოინდომებს, ვინც მის ჯანსაღ სხეულს მახვილს დაუღერებს—საქართველო განრისხებით უკუ აგდებს ასეთს და [illegible] თავის დაცვას. ქართველი ხალხის ასეთ გამასხარავებას, როგორც ეს მენშევიკებმა ინებეს—საქართველოს ისტორია თავის ფურცლებზე ჰკინძავს და შავ ლაქას დაასვამს მათ მოღვაწეობას.

კენტი.

უცხოეთი

პროლეტარიატის შეიარაღება.

მოსკოვი 27 ოქტ. ვენიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სოციალ დემოკრატიულ პარტიის ღამის სხდომაზე ყოფილმა სამხედრო საქმეთა მინისტრმა, დეპუტატმა დეიჩმა შეიტანა წინადადება პროლეტარიატის შეიარაღების შესახებ.

მიუნხენში.

მოსკოვი 27 ოქტ. მიუნხენის პოლიციამ აღმოაჩინა მიუნხენში მყოფ პრუსიის საელჩოს შენობის აფეთქების გეგმა.

მთავრობის კრიზისი ესტონეთში.

მოსკოვი. 27 ოქტ. მთავრობის კრიზისი ესტონეთში ღებულობს სერიოზულ ხასიათს. ახალი კოალიციის შედგენის ცდას წინ ეღობება მთელი რიგი დაბრკოლებათა.

ინგლისის პარლამენტი.

მოსკოვი. 27 ოქტ. განკარგულება ინგლისის პარლამენტის გაშვების შესახებ გამოცხადებული იქნება მომავალ ხუთშაბათს. არჩევნები მოხდება 19 ნოემბერს. ახალი პარლამენტი შეიკრიბება 20 ნოემბერს. იგი უფრო ნაკლებ რიცხოვანი იქნება ვიდრე ეხლანდელი პარლამენტი: 707 დეპუტატის მაგიერ იქნება 616.

იაპონია და რუსეთი.

მოსკოვი. 27 ოქტ. პრიმორიაში ამბების ხელსაყრელად მოგვარების შემდეგ, იაპონიის მთავრობა შესაძლებლად მიაჩნია განაახლოს ურთიერთობა რუსეთთან.

რუსეთი და ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 25 ოქტ. ოსმალოები გათამამებულნი ლოიდ-ჯორჯის დაცემით დაჟინებით მოითხოვენ ყველა მოთხოვნილებათა სავსებით დაკმაყოფილებას და რუსეთის მოწვევას კონფერენციაზე.

— ჩიჩერინის უკანასკნელი ნოტის გამო, „მანჩესტერ გარდიენ“-ი დაჟინებით მოითხოვს რუსეთის მოწვევას კონფერენციაზე ყველა სამუშაოში მონაწილეობის მისაღებად.

კონფერენციის მოწვევა.

მოსკოვი. 27 ოქტ. ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის მოწვევის ადგილი და დრო საბოლოოდ არ არის გამორკვეული. იტალია წინააღმდეგია კონფერენციის ლოზანაში მოწვევისა.

რუსეთი

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღ. მასკომის მეოთხე სესია.

მოსკოვი. 27 ოქტ. სრულიად—რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესიის სხდომაზე მოხსენებით საბჭოთა სასამართლოს პროექტის შესახებ გამოვიდა კრილენკო. პროექტის თანახმად იქმნება სასამართლოს დაწესებულებათა მთლიანი სისტემა. ძირითად [illegible] წარმოადგენს სახალხო სასამართლო, რომელიც ემორჩილება მეორე ინსტანციას—საგუბერნიო სასამართლოს. უმაღლეს ინსტანციას წარმოადგენს საბჭოთა რუსეთის უმაღლესი სასამართლო, რომელიც აერთებს ეხლანდელ უმაღლეს ტრიბუნალს მისივე კოლეგიებით, საკასაციო კოლეგიას და უმაღლეს სასამართლო კონტროლს. საინსპექტორო სტატისტიკური და საორგანიზაციო ნაწილები გადადიან იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

პროექტი მიღებულია საფუძვლად და გადაეცა კომისიას დასამუშავებლად.

— მიწის კანონების კოდექსის შესახებ მესიაცევმა მოხსენებაში აღნიშნა სხვათაშორის შემდეგი: მიწის კოდექსი შესდგება სამი ნაწილიდან. პირველი ნაწილი შრომის მიწის სარგებლობაზე.

— ქალაქის მიწების შესახებ, მესამე ნაწილი.—მიწადმოწყობის გადასახლების და მიწის გარშემო ატეხილ დავის შესახებ.

პირველი ნაწილის საფუძველია კანონის შრომის მიხედვით მიწის სარგებლობის შესახებ, რომელიც დაამტკიცა მოსულმა ცეკამ. ეს ნაწილი შევსებულია მუხლებით რომლებშიაც აღიარებულია წესი ოჯახის შიგნით დაყოფისა და ზომებით ადგილების დაქუცმაცების წინააღმდეგ. შეტანილია თავი საადგილ მამულო თემების შესახებ რომლის ძირითადი აზრია—რუსეთის მთელი მიწა ეკუთვნის სახელმწიფოს.

საადგილ-მამულო თემები და ცალკე ოჯახები მხოლოდ სარგებლობენ კანონით გადაცემულ სახელმწიფო მიწებით. ისინი ღებულობენ მუდმივ და მტკიცე უფლებებს სარგებლობისა, რისთვისაც სახელმწიფო მოითხოვს მათგან გარკვეულ ბეგარის შესრულებას და პირველ საადგილ მამულო თემები იყოფა ორ ნაწილად: პირველი—ძველი თემი, მეორე—საზოგადოება ახალი წესდებით, რომელიც წააგავს საადგილ მამულო კოოპერატივებს. ძველია წესი ჩამორჩენილ საადგილ მამულო საზოგადოებების უფრო სრულ ფორმებში გადასვლისა. საზოგადოებები სავსებით ატარებენ პასუხისმგებლობას სახელმწიფოს წინაშე მიწის რაციონალურ სარგებლობაში.

საგუბერნიო აღმასკომებს უფლება ეძლევათ დააწესონ მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატების საშუალებით საგუბერნიო ნორმები დაყოფისათვის, რომლის ქვემოდ შეუძლებელია ყოველგვარი დაყოფა ოჯახების მიხედვით. ეს ნორმები [illegible] ხუტორებისათვის. თვით მიწის დამმუშავებელს თავის ნებით შეუძლია გამოაცხადოს თავისი მეურნეობა დამოუკიდებლად.

გადაყოფის უფლება ეძლევა საზოგადოების უმრავლესობას და არა ორ მესამედს, როგორც ეს იყო ძველ კანონში.

მის დანაწილებისა და ქალაქების და მუშების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი მიწა გადადის სახელმწიფოს უშუალო სარგებლობაში. ამას ეკუთვნიან ის ადგილები, რომლებიც გაცემულია იჯარით და თავისუფალი მიწის მარაგი გადასახლებისა და კონცესიებისათვის.

კოდექსი აღიარებს [illegible] მიწადმოწყობას—სახელმწიფოებრივ მიწის სარგებლობის რაიონების განმტკიცებას მიწების რეგისტრაციის გზით.

მიწის გარშემო ატეხილ დავის განხილვას აწარმოებენ საადგილ-მამულო კომისიები.

დასასრულ მესიაცევმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს გატარებულია მიწა-მოწყობის სამუშაო 31 მილ. დესეტინის რაოდენობით—სამჯერ მეტი, ვინემ წარსულ წელს.

საბჭოთა რუსეთის სამოქალაქო კანონების კოდექსის პროექტის შესახებ გოიხბარგმა სხვათაშორის აღნიშნა, რომ ეს კოდექსი აღიარებს საკუთრების უფლებას, რომელიც არ არის არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში. საკუთრება კოდექსის მიხედვით, შესაძლებელია სამგვარი—სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო. ყველა მიწა, მრეწველობის დარგები, რკ. გზები და სხვები წარმოადგენენ სახელმწიფოს უშუალო საკუთრებას.

ამ სახელმწიფო საკუთრების მიმართ არ არსებობს არავითარი შეზღუდვა. კოოპერატიული საკუთრება უკვე ეწყობა გარკვეულ ჩარჩოებში და ისაზღვრება. კერძო საკუთრება დაშვებულია მხოლოდ ცალკე კანონების ფარგლებში. მთელი ჩვენი მსხვილი მრეწველობა განსახელმწიფოებრივებულია, მაგრამ გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. სახელმწიფო საერთოდ არ არის პასუხისმგებელი ცალკე ტრესტების, გაერთიანებების და წარმოებების მოქმედებაში.

ინტერვიუ ამხ. ჩიჩერინთან.

მოსკოვი, 27 ოქტ. გარეშე საქმეთა კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: „ჩვენი გულწრფელი სურვილია იაპონიასთან მივაღწიოთ ფორმალურ შეთანხმებას, მაგრამ იაპონიის იმპერიალისტების მადა იმდენად დიდია, რომ შეთანხმება ახლა შეუძლებელია. იაპონიას სურს შეინარჩუნოს ფაქტიურად და ანექსია უყოს სახალინის ჩრდილოეთ ნაწილს, რაც გაბატონებს იაპონიას ამურის ნაოსნობაზე. ამაზე ჩვენ ვერ დავთანხმდებით.

ჩინეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები—იაპონიის მომხრე ჯან-ლინის დამარცხებამ—გაართულა იაპონიის დამოკიდებულება ჩინეთთან. იაპონია აძლიერებს თავის გარნიზონს მანჯურიაში და თავს უყრის თეთრ-გვარდიელებს. იაპონელების მიერ „პრიმორიის" დატოვება არის ერთი ნაბიჯი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღსადგენად. ვლადივოსტოკიდან იაპონელების ევაკუაციამ [illegible] ხასიათი მიიღო. ვლადივოსტოკი ფაქტიურად „ხუნხუზების" და მოკავშირე ელემენტების ხელში უპყრიათ. ნაძარცვი ქონება გააქვთ მანჯურიაში. როდესაც რუსეთის ჯარები შევლენ ვლადივოსტოკში, ჩვენს ხელთ იქნება სრული ცნობები იმ განადგურების და ძარცვა-გლეჯის შესახებ, რომელთაც ეხლა ადგილი აქვს ვლადივოსტოკში.

მეგობრული განწყობილება რუსეთისა და ჩინეთის შორის ვითარდება. პეკინში რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. იოფეს ჩასვლის შემდეგ ჩინეთთან შეთანხმების პროექტის შემუშავება და მეგობრული დამოკიდებულებათა აღდგენის საკითხი წინ მიიწევს.

ამხ. ლენინის წერილობითი მიმართვა

მოსკოვი, 27 ოქტ. ამხ. ლენინმა მიმართა „საბჭოთა რუსეთის მეგობართა საზოგადოებას ამერიკაში", რომელშიც დიდ მადლობას უძღვნის საზოგადოებას სატრაქტორო რაზმის მუშაობას პერმის გუბერნიაში.

მეორე წერილით ლენინი მადლობას უძღვნის „საბჭოთა რუსეთისათვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის ამერიკის საზოგადოებას", საზოგადოების წევრთა ნაყოფიერი მუშაობისათვის ტამბოვის და ოდესის გუბერნიის სამეურნეო ორგანოებში და დონის აუზის მაღაროებში.

ტროცკის ბრძანება

მოსკოვი, 27 ოქტ. 25 ოქტომბერს სახ.-რევოლუციონური არმიის ნაწილები შევიდნენ ვლადივოსტოკში. ამხ. ტროცკის ბრძანებაში წითელ არმიისა და ფლოტის მიმართ ამის შესახებ ნათქვამია: „შორეულ აღმოს. რესპუბლიკის ჯარები, რომლებიც წარმოადგენენ მუშა-გლეხური წითელი არმიის განუყოფელ ნაწილს, შევიდნენ ვლადივოსტოკში. ოკუპაციონერმა რუსეთმა დაიბრუნა წყნარ ოკეანეში გასავალი. ვულოცავ წითელ არმიას და წითელ ფლოტს დიდებას ჩვენი შორეული აღმოსავლეთის მუშებს, გლეხებს და ჯარის კაცებს".

ინგლის მემადნეთა [illegible].

მოსკოვი 27 ოქტ. 100,000 სამხრეთ უელსის მემადნეებმა განაცხადეს, რომ 5 ნოემბრიდან ისინი დაიწყებენ გაფიცვას.

ბონარ ლოუ და ლორდ კერზონი ინგლისის ახალი მთავრობის პოლიტიკის შესახებ.

მოსკოვი 27 ოქტ. კონსერვატორების კლუბში წარმოთქმულ სიტყვებში ბონარ ლოუმ და კერზონმა საგარეო ფარგლებში დაახასიათეს ახალი მთავრობის პოლიტიკა. კერზონმა სთქვა: „ახალი მთავრობა დაადგება მტკიცე და ურყევ პოლიტიკას. ინგლისს, ევროპას და საერთოდ ყველა სახელმწიფოებს სწყურიათ ზავი, ჩემი მომავალი მეფე და მე მოწადინებული ვართ, რათა საგარეო პოლიტიკა სწარმოებდეს ყოველგვარ პარტიების გარეშე. ნორმალური მდგომარეობა შესაძლებელია აღდგენილ იქნეს მხოლოდ კომპრომისების პოლიტიკით, თანამშრომლობით და ურთიერთ ნდობით.

ბონარ ლოუმ განაცხადა, „ინგლისს უპირველესად ყოვლისა ესაჭიროება მშვიდობიანობა. ბრიტანეთი, როგორც მთელი მსოფლიო ომის შემდეგ ჩავარდა მძიმე მდგომარეობაში. ნორმალური მდგომარეობა შესაძლებელია აღდგენილ იქნეს არა ღონისძიებით, არამედ თვით ხალხის უშუალო და ცოცხალი მუშაობით.

სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მე 4 სესია.

მოსკოვი 26 ოქტომბერი. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესიის 25 ოქტომბრის სხდომაზე ირჩეოდა სამოქალაქო კანონების კოდექსის პროექტი. კოდექსი აძლევს რუსეთის პროლეტარიატს იმის გარანტიებს, რომ მბრძანებელი მწვერვალები ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს დარჩება სახელმწიფოს ხელში. სცნობს რა შესაძლებლად სხვა და სხვა სახის გაერთიანებებს, კოდექსი უფლებას უტოვებს სახელმწიფოს მოსპოს ამ გაერთიანებათა მოღვაწეობა თუ ასეთები საზიანო აღმოჩნდება. მრეწველობის ყველა მსხვილი დარგები, რკინის გზები და მთელი რიგი სხვა მეურნეობათა წარმოადგენენ სახელმწიფოს უშუალო საკუთრებას. კერძო საკუთრება დასაშვებია შეზღუდულ ფარგლებში, რომელსაც აწესებს საბჭოთა კანონები. ცალკე პირებს ეძლევა განსაზღვრული ქონებრივი უფლებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო ინტერესებს. ეს პირები მოვალე არიან შეასრულონ სახელმწიფოს მიერ დაკისრებული განსაზღვრული ვალდებულებანი.

კამათის შემდეგ კოდექსის პროექტი მიიღეს საფუძვლად და გადასცეს კომისიას შესამუშავებლად.

1923 წლის ფულის ნიშნები.

მოსკოვი 26 ოქტ. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა დეკრეტი 1923 წლის ფულის ნიშნების გამოშვების შესახებ.

1912 წლის ნიშნები რჩება თავისუფალ ხმარებაში და არ კარგავენ სყიდვითი ძალას.

საბჭოების ხელახალი არჩევნები.

მოსკოვი 26 ოქტ. დიდ უსტიუგში დამთავრდა საბჭოების ხელახალი არჩევნები. ყოველგან გაიმარჯვა კომუნისტების სიებმა.

არხანგელსკის მეზღვაურების მისალმება.

მოსკოვი 26 ოქტ. არხანგელსკის ნავთსადგურის ჰოლანდიის და ინგლისის გემების მეზღვაურთა კრებამ გაუგზავნა მისასალმებელი დეპეშა კომინტერნსა და პროფინტერნს.

ნატურალური გადასახადი.

მოსკოვი 26 ოქტ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობებით, 15 ოქტომბრისათვის მთელს საბჭოთა რუსეთში, უკრაინისა და თურქესტანის გარდა, შემოვიდა 191 მილ. ფუთი ნატურალური გადასახადი, წარსულ წელს ამ დროისათვის შემოვიდა 50 მილიონი ფუთი.

საფინანსო დარგის მუშაკთა ყრილობაზე

მოსკოვი. 26 ოქტ. საფინანსო დარგის მუშაკთა ყრილობაზე ფინანსთა სახალხო კომისარმა სოკოლნიკოვმა თავის მოხსენებაში განაცხადა: „ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს [illegible] ქაღალდის ფულის ვალიუტაზე [illegible] და მისი თანდათანობით ოქროთი შეცვლება. ჯერჯერობით დავტოვებთ არა პირდაპირ გადასახადების სისტემას, თანდათანობით ჩვენ გადავალთ პირდაპირ დაბეგვრაზე და ამავე დროს ვაჭრებს საშუალება არ ექნებათ გაანაწილონ გადასახადი მომხმარებლებზე.

ოქტომბრის დღესასწაულის გამო

მოსკოვი. 25 ოქტ. კიევი ფართოდ ემზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის მუშათა კოოპერაციის კავშირმა გადადო 600.000 მ. წლის თავისათვის კიევის შრომის სასახლის მოსაწყობად.

ახალი ამბები

— **სამრეწველო აღწერა.** სამრეწველო დაწესებულებათა აღწერა ქ. ტფილისში უკვე დასრულდა. საქართველოს დანარჩენ ადგილებში დასრულდება ერთი კვირის განმავლობაში. აღწერა ჯდება 87 მილ. მან. საქ. ფულ. სამ. საბჭომ გაიღო 40 მილ. ქ. აღმასკ. კომიტეტმა 24 მილ. ფინანსთა კომისარიატმა 9 მილ. სტატისტ. ცენტრ. სამმართველომ 14 მილ. აღწერას ხელმძღვანელობს სტატ. ცენტრ. სამმართველოსთან არსებული სამი კაცისაგან შემდგარი სააღწერო ბიურო გრიგორიანის თავმჯდომარეობით და უშუალო სამ. საბჭოსთან არსებულ სტატისტიკ. განყოფილების გამგის მონაწილეობით.

პროვინციის ცხოვრება

ბათომი

— ჯანმრთელობის კომისარიატთან კომისიის დაარსება. რომ საჩქაროდ მოეწყოს სასწრაფო დახმარების სადგური და უფრო რაციონალურად რომ იქნას გამოყენებული სადგურისთვის განზრახული ბინა—შენობა ჯანმრთელობის კომისარიატისა, ინტერნაციონალის ქუჩაზე, ჯანმრთელობის სახალხო კომისარის თავმჯდომარეობით, დაარსებული იქნა კომისია, რომელშიაც შედიან: დედათა და ბავშვთა დამცველი განყოფილების გამგე, ბავშვთა ამბულატორიის გამგე, ექიმთა კოლექტივის და მედიკო—სანიტარული კავშირის გამგეობის რწმუნებულნი.

სამხატვრო ქრონიკა

სახელმწიფო ოპერა. შაბათს 28 ოქტომბერს დადგმული იქნება ქართული ორიგინალური ოპერა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე". სამშაბათს 31 ოქტომბერს პეტროგრადის მარიინის თეატრის გამოჩენილი ქართველი მომღერალის სანდრო დოლიძის მონაწილეობით „დემონი". ბილეთები იყიდება ამთავითვე თეატრის კასაში.

ილია ჭავჭავაძის კერძო წერილები. დღეს გამოდის გაზეთ „[illegible]" № 17, რომელშიც მოთავსებული იქნება ილია ჭავჭავაძის კერძო დაუბეჭდავი წერილები.

სახალხო სახლში. კვირას 29 იდგმება [illegible] „დღეს ჩვენი ცხოვრებისა" პიესა. სდგამს სოსო რომანიშვილი.

ქართული დრამა. დღეს პირველად განახლების შემდეგ იდგმება დ. კლდიაშვილის პიესა „ირინეს ბედნიერება" და „უბედურება". პიესას სდგამს რეჟისორი ა. ფაღავა.

პარტიაში

„არჩილ ჯორჯაძის სახელობის პოლიტიკურ წრე".

კვირას 29 ოქტომბერს, დილის 10 საათზე 3 რაიონის ცენტრალურ კლუბში შესდგება მორიგი მოხსენება შემდეგ თემაზედ „მარქსიზმი და გლეხობა" დასწრება შეუძლია ახალგაზრდობათა კავშირის წევრებს და თანამგრძნობთ.

—

კვირას, 29 ოქტომბერს დილის 11 საათზედ გაზ. „ტრიბუნის" რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა. ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

—

მემარცხენე სოც. ფედ. სტუდენტთა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ძველი პარტიული ბარათები გაუქმებულია. შესამოწმებლად და გამოსაცვლელად უნდა გამოცხადდნენ პარტიულ კლუბში, კვირას 29 ოქტომბერს დილის 10—12 საათ. ორშაბათს და სამშაბათს საღამოს 7—9 საათამდი.

სტუდენტთა კომიტეტის მდივანი.

შრომის სახალხო კომისარიატში

დაარსებულ იქნა კომისია, რომელსაც დაევალა ამ მოკლე ხანში გამოსცეს შრომის დარგში გამოქვეყნებულ ამ ჟამად მოქმედ კანონმდებლობათა კრებული.

— 1 ნოემბრიდან შრ. ს. კომ. შტატი დიდდება 5 შრომის ინსპექტ. ასისტენტების თანამდებობით, რომლიდანაც 3 იქნება ტფილისში, ხოლო თითო ბათომსა და ქუთაისში.

— ქ. ტფილისის შრომის ბირჟასთან დადგენილ იქნა მოეწყოს პროფკავშირების მიხედვით ათი უმუშევართა სექცია, რომლის კონსტრუქციის მოხდენა დაევალა შრომის ბირჟის კომიტეტს.

— გადაწყვეტილ იქნა მიეცეს ყოველთვიურად 50 მილ. მან. შრომის ბირჟასთან არსებულ ახალგაზრდა სექციას, თავის უმუშევარ წევრთა დასახმარებლად.

— უმუშევართა მორიგი დაზღვევის საკითხი ღიად იქნა დატოვებული საქ. პრ. კ. საბჭოს კომისიის მიერ დამზღვევ პირთა გასაზღვრამდე.

— წინადადება მიეცა შრომისა და ტერიტორიულ ხარკის განყოფილებას წარმოადგინოს თავისი შეხედულებანი და ხარჯთ აღრიცხვა მაზრებში შრომის ხარკის ჩამტარებელ რწმუნებულების [illegible] შესახებ. ხარჯთ-აღრიცხვა გამონაგარიშებულ უნდა იქნეს ხარკის ფულადი შეცვლიდან შემოსულ 15 პროც. მიხედვით.

— დადგენილ იქნა წინადადება მიეცეს ყველა სამეურნეო ორგანოებს ხარკის წესით შეუსრულებელ სამუშაოთა აღსრულებისათვის იყოლიონ შრომის სახ. კომისარიატის რწმუნებულნი, რომელთაც ჯილდო მიეცემათ სამეურნეო ორგანოებიდან.

— შრომის და ტერიტორიულ ხარკის განყოფილებას დაევალა ხარკის მოსახდელად გამოწვეულ შრომის უნარიანთა და ტერიტორიულ საშუალებათა უბედურ შემთხვევაში დაზღვევისათვის—სასწრაფოდ დაარსოს დამზღვევი ფონდი 5 პროც.-დან, რომელსაც იხდის სამეურნეო ორგანოები მათთვის გამოყენებულ მუშებისა და ტერიტორიულ [illegible] მიხედვით.

— ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულისათვის—სტატისტიკური განყოფილების გამგე ამხ. ბენაშვილს დაევალა შეადგინოს შედარებითი დიაგრამები რესპუბლიკის შრომის მდგომარეობის გამომხატველი—ორ პერიოდში—ა) მენშევიკებისას და ბ) ამ ჟამად.

— არტურ ლეისტის იუბილეს აღსანიშნავად გადადებულ იქნა 3 მილიონი მანეთი.

წყალდიდობა საქართველოში

წყალდიდობა ტფილისში

უკვე სამშაბათს 24 ოქტომბერს დაიწყო მტკვარის ადიდება. როგორც წყლის ნაპირად მცხოვრებლები გადმოგვცემენ მტკვარს ორშაბათს ღამით დაუწყია ნაპირებიდან გადმოსვლა და თანდათან მთელი დღის სამშაბათის განმავლობაში ემატებოდა მას სიდიდე. მაგრამ სამშაბათით და ოთხშაბათზე ღამით მტკვარმა სავსებით დაფარა მის მარცხენა მხარეს მდებარე მიდამოები; დაიფარა ბაღები, ეზოები, სახლები. მართლაც ოთხშაბათს დილით ვერის ხიდიდან აშკარა იყო მტკვარის ბობოქრობა. ვერის პარკისკენ გამყურე ნათლად შეამჩნევდა რომ ბოსტანი უკვე წალეკული იყო; „დილას კი იყოო"—ამბობდა ერთი მოქალაქე. დილით 6 საათზე ყოფილა, 9 საათზე კი აღარ სჩანდა ბოსტანი; ბოსტანი მოუგლეჯია აგრეთვე დილიდანვე; წყალი ბობოქრობდა. ნასადილევს მდინარე სავსებით გაიწია განზე: ვერის პარკის ჩასავალი გზა ნაწილი მოგლიჯა, ნაწილი კი დაფარა. პარკისაკენ მიმავალ გზაზე მრავალი ხეტყის მასალა წაუღია წყალს. დიდი მუშაობა სწარმოებდა ამ ტყის მასალის გადასარჩენად, თანდათან ზე მოჰქონდათ ეს მასალა, მაგრამ წყალი მოულოდნელობით [illegible] და შემდეგ იძულებული შეიქმნენ ტივით ჩამოტანილი ხის მასალა [illegible] გადაეგდებათ.

თვით ვერის პარკი თანდათან იფარებოდა წყლით, წყალი თანდათან გადმოვიდა ხეივანში, შემოერტყა იქვე შენობებს, მოგლიჯა ბორანის ბოძები, გადაიტაცა ერთი შენობა და წაიღო. წყალს მიჰქონდა დიდი ხეები, ბორანის ნაწილები, სხვადასხვა ავეჯეულობა.

ხიდი გაჭედილი იყო ხალხით, ასეთი მოულოდნელი ამბავი აინტერესებდა ყველას. „ჯერ კიდევ ასეთი არ [illegible]"—ამბობდნენ ირგვლივ.

ამავე დროს დიდი უბედურება ხდებოდა რიყეზე. წყალი გადმოსული ნაპირებიდან შეიჭრა სარდაფებში, სახლებში, დაიფარა ქუჩები. ეს იყო ღამით. ხალხი არ მოელოდა ასეთ წყალდიდობას შემოდგომის დამდეგს და ამისათვის წყნარად იყო. მაგრამ წყლის თანდათანი აღელვებამ ისინი გააღვიძა და გამოიყვანა. რათა არ ყოფილიყო ადამიანების მსხვერპლი, ხალხს თოკის საშუალებით აღებდენ, რომლებსაგან მრავალი სახლებში დარჩა. მეორე დღეს გულშემზარავი სურათი იყო რიყის მიდამოებში. წყლით დაფარული იყო პირველი ქუჩა, მოედანი, წყალი გადმოვიდა 19 თებერვლის ქუჩაზე. ტრამვაის მოძრაობა შეწყდა. დუქნები, სარდაფები, ბინები გავსებულია წყლით. ყველაფერი წყალში დარჩა, ვაჭრების გამოტანა ვერ მოასწრეს. უმთავრესად დაზარალდნენ [illegible], რომლებმაც ვერ გამოიტანეს [illegible] კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზამთრისათვის გამზადებული თივა და სხვა სანოვაგე.

ქუჩებში ნავებით დადიან, აწვდიან საჭმელს, გამოაქვთ საქონელი, გამოჰყავთ ხალხი. ბევრ ადგილას ქუჩებში ნავებითაც ძნელი ხდება მიმოსვლა.

თათრის მოედნის ხიდთან თითქმის ცოცხლად დაიკლდა წყალს რომ ხიდზე გადაევლო. ასეთივე [illegible] ის უბნები, რომლებსაც წარმოადგენდა გაშლილ ადგილებში ტფილისის მტკვარის პირა ადგილები, სადაც წყალი ამოპოქრებული ნავარდობდა და ტალღებს ხალხის ქონებას, ხალხის ნაშრომს. ასევე ყოფილა ორთაჭალის მიდამოებში, სადაც განადგურებულია ბაღების 65 პროც.

რაც შეეხება ავჭალის წყალსადენს, წინასწარ მიღებულ ზომების მიხედვით წყალსადენი განაგრძობს მუშაობას, თუმცა ნაწილობრივი დაზიანება არის, მაგრამ უმნიშვნელო.

ოფიციალურ ცნობების მიხედვით, ვიცით, რომ მტკვარის ადიდების შესახებ ცნობები მოსულა აბასთუმანიდან, რომლის მიდამოებშიც მტკვარს თავისებურად უმოქმედებია და სწორედ ამ ცნობების მიღების შემდეგ ბორჯომ-ახალციხიდან მიღებული იყო [illegible] ზომები წყალდიდობის და შიგ ტფილისშიც გაფრთხილებული ხალხი. მაგრამ ქ. გორში, სადაც ადიდებულა ლიახვი, კიდევ მეტი განადგურებაა აღმოჩენილი მსხვერპლით. მნახველთა გადმოცემით, ლიახვის [illegible] გადავარდნილა გორის ზემოთ,—შეერთებია ფშანის წყალს და სრულიად დაუფარავია სოფლები; ითხოვდნენ თურმე შველას, როგორც გადმოგვცემს ნახველი, მაგრამ დახმარების გაგზავნისთანავე, დამხმარეებიც მსხვერპლი შექმნილან წყლის სტიქიისა. თვით განადგურებული მიწის ძვრისაგან გორი, კვლავ უფრო მიეცემა განადგურებას, წყალს დაუფარავს როგორც ბაღი, აგრეთვე ერთიანის ქუჩა (მთავარი ქუჩა).

ასეთივე ცნობებია დასავლეთ საქართველოდან და უნდა ითქვას, რომ საქართველოს კვლავ დიდი უბედურება ეწვია, კვლავ დიდათ დაზარალდა ამ საშინელ სტიქიისაგან.

ხოხო.

—

ბორჯომში. ჰიდრო ელმშენებლობის კომიტეტმა მიიღო შემდეგი დეპეშა: მდ. ბორჯომულამ ძალიან მოიმატა და დაფარა მთელი ბორჯომის ხეობა და ბორჯომკას კალაპოტი 100 საჟენზე გათხრილი, დანგრეულია წყალსადენი. პარკი დაფარულია წყლით. [illegible] წყარო წყლის ქვეშაა. რკინის გზის ლიანდაგი დანგრეულია. სადგური ბორჯომ პარკი დაფარულია წყლით. [illegible] წყაროსთან არსებული საწყობები წაღებულია წყლის მიერ.

დასავლეთ საქართველოში.

რიონი გადავიდა ნაპირებიდან. მდინარის სანაპირო ნაწილი დაფარულია წყლით. წყლის მიერ წალეკულია აუარებელი სატყეები. ქუთაისის ხის საწყობები ქარხანა წყალქვეშაა. წყალს მოაქვს რაჭაში დამზადებული სატყეო ხეები. წვიმა დაიწყო 22 ოქტომბრიდან და თან და თან იმატა და მთელი დღე ღამე არ შეწყვეტილა. სად. მარელისამდე მდინარეებში სიჩქარე საათში უდრის 5 ვერს. მდინარე ყვირილას და ძირულას ნაპირები, რომლებზედაც გაყვანილია რკინის გზა, დაფარულია წყლით. სად. შორაპნიდან სად. ძირულამდე მდინარე ძირულას და ყვირილას მოაქვს დიდი ხეები. შორაპნის ხიდის ხის სვეტები, რომელიც გაკეთებული იყო 7 და 8 სექტემბრის წყალდიდობის დროს, დანგრეულია. ადგილობრივ მიღებული იქნა ზომები დანგრევის შესაჩერებლად, მაგრამ ვინაიდან წყალი თან და თან მატულობდა ადგილობრივი ძალებით ვერას გახდნენ. ამის გამო შორაპნის ხიდთან მოაწყვეს მგზავრების გადაჯდომა. ერთი მატარებელი იდგა სად. შორაპნის მხარეზე, ხოლო მეორე, ხიდის მეორე მხარეზე ერთი ვერსის დაშორებით. გადაჯდომა 8 საათს გაგრძელდა. სად. ხარაგოულის და მარელისის შორის რკინის გზა განუწყვეტლივ ილეკებოდა ზღვავით, რის წინააღმდეგ იბრძოდა ადგილობრივი რკინის გზის ადმინისტრაცია. აქ მუშაობდა დაახლოებით 80 კაცი.

შორაპნის ხიდი. ხიდის საყუდარი წალეკულია წყლის მიერ, წყალმა აიწია 2,50 საჟენით ორდინარის ზევით. წყლის დენის სიჩქარე ხიდ ქვეშ უდრიდა 3 საჟენს წამში, რის გამოც ქვების ჩაყრა უნაყოფოა; ეზიდებიან ქვებს და მასალს და წყლის დაკლების შემდეგ, თუნდაც ერთი საჟენით დაიწყებენ ქვების ჩაყრას და ხიდის საყრდენობის აშენებას. სად. შორაპანში შენობების დიდი უმრავლესობა დაზიანებული წყალდიდობისაგან, მოსამსახურეები ოჯახებით სახლდებიან შენობიდან პაკგაუზებში, სადგური მოედანი დაფარულია წყლით.

ჭიათურის ტოტი. ჭიათურის რკინის გზის ხაზზე 12 ვერსის მანძილზე მიმოსვლა აღარ შეიძლება. ყველა სადგურები დაფარულია წყლით, უმრავლესობა სრულიად დატოვეს მოსამსახურეებმა, ვინაიდან ოთახებში 1 არშინზე დგას წყალი. ტელეგრაფი აღარ მუშაობს, მდგომარეობის გარკვევა შეუძლებელი ხდება. ტყვიბულის და ბათუმის ხაზიდან ცნობები არ არის. წვიმა შეუწყვეტლივ გრძელდება.

ბათომის ხაზზე წყალმა რიონში ძალიან მოიმატა, აიწია ხიდის ძელებამდე და აუცილებელია რკინის გზის ხაზის ჩარეცხვა ხიდთან.

სამტრედიაში. სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ წყალდიდობის გამო წყალი სადგურის ირგვლივ 2 არშინზე დგას. ყველა საცხოვრებელი სახლები საშიშ მდგომარეობაშია. მოსამსახურეებს არ შეუძლიათ სამუშაოზე გამოსვლა.

ყველა წარმოებაში მუშაობა შეწყვეტილია. მიმოსვლა ბათომისა და ტფილისისაკენ შეწყვეტილია წყალდიდობის გამო. მიღებულია ზომები მუშა მოსამსახურეთა ოჯახების გადასარჩენად.

ზოგი რამ

მცხეთა-ბაზალეთის ტბა საგრილ-აგარაკები.

მცხეთა არა თუ გმირთა სავანე, არამედ წალკოტიც იყო, რასაც ამშვენებდნენ დიდრონი ხენი, როგორც მაგ. სვეტი-ცხოვლის ხე, მირონ მწრთოლვარე, რომელიც თაყვანსაცემად გადაქცეულ იყო მაშინდელ ქართველთა თვალში. რაკი ამ თქმულებაშიც იმავ დრუიდიზმის, ანუ ხის თაყვანის ცემის სარწმუნოება მოსჩანს, როგორც ჰყონდიდისაში (მუხა დიდით), რომელსაც ადგილობრივნი მკვიდრნი თაყვანს სცემდნენ და ანდრია მოციქულმა ამოაგდებინა, უნდა ვიფიქროთ, ამ გარემოებასაც დიდი გავლენა უნდა ჰქონოდეს მცხეთის წალკოტად ქცევაზე. მდებარეობა ხომ ნამდვილად ისეთი აქვს; რომ უნდა გადაქცეულიყო საქართველოს ქალაქების თავადად, დედა-ქალაქად. ბუნებრივი ამფითეატრი ამკობს სამკუთხედ ნიადაგს, რომელსაც ჩამოუდის ერთი მხრით მტკვარი, ხოლო მეორის მხრით არაგვი, რომელიც მტკვარს შეერთვის. მთლად ეს დაცემული ნიადაგი ძველად წალკოტი იყო, მაგრამ თუ დღეს ტფილისივით მოტიტვლებულა მისი ბრალია ჯერ ქრისტიანობა, რომელსაც თაყვან საცემი დიდი ხეები მოუსპია და მერმე საერთოდ ტყის გაჩეხა. თორემ შეუძლებელია ისეთი საამაყო ძეგლები ქართული საეკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა, როგორიც მცხეთასა აქვს, გაეშენებინათ დღევანდელისთანა ხრიოკ ადგილზე, ამ გვარად მცხეთის მცენარეულობა სამუდამოდ გაჩანაგებულა და ხალხსაც დაუწყია ნელ ნელა გადმოსახლება ტფილისს, რის პროცესიც დასრულებულა მეექვსე საუკუნეში, როცა ვახტანგ გორგასალს თვით ტფილისი გამოუცხადებია დედა-ქალაქად და თვითონაც გადმოსულა საცხოვრებლად.

თუმც დღევანდელი მცხეთის მდებარეობა ხრიოკია, ჰაერი მაინც ისეთი აქვს, რომ ზაფხულობით მის წიაღში აგარაკად ცხოვრებას ცოტა როდი ეტანება. თუ პატრონი გამოუჩნდა, მცხეთა შეიძლება იქცეს ნამდვილ საზაფხულო აგარაკად. ასეთი პატრონობა უნდა გაუწიოს მცხეთის დუშეთის აღმასრულებელმა საბჭომ და სახელმწიფოც მოიშველოს. უპირველესად ყოვლისა საჭიროა არაგვის და მტკვრის სანაპიროების გაკეთება, რომ სანაპირო იმ დროსვე იყვეს ქუჩა, რომელიც უნდა იყვეს ცალმხრივ გაშენებული და არაგვსა და მტკვარს გაშლილი გადაჰყურებდეს. ამას გარდა საჭირო წყლის გამოყვანა, ახალი ორი ფართო ქუჩის გაჭრა ერთის სადგურიდან სვეტიცხოვლამდე, ხოლო მეორისა სვეტი ცხოვლიდან დედათ მონასტრამდე, ასე რომ ორთავ ძეგლის გარშემო დიდი მოედნები იყვეს დატოვებული. სვეტიცხოვლიდან ქუჩები რადიუსებად, ხოლო მის ირგვლივ გრკალებად უნდა დაისეროს. რა საკვირველია ამის მიხედვით შედგენილი გეგმა, მომავალი მცხეთისა დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანილ ვერ იქმნება, მაგრამ ვისაც ახალი შენობის აგება დასჭირდება, ვალდებულ იქნება, დამტკიცებული გეგმის საზღვრებში ააგოს შენობა და ხეებიც დარგოს მის გასწვრივ.

მეორე ადგილია ბაზალეთის ტბა საკმაოდ მოზრდილი და უკვდავი თავისი მესიახური თქმულებით, რომელიც ილია ჭავჭავაძეს გაუპოეტიზებია. ტბის გაწმენდა და მის გარშემო ადგილების დაგეგმა სანაპიროების დატოვებით დუშეთის მაზრას სახელს გაუფუქებდა, რათგანაც იშვიათი საგრილ-აგარაკების პატრონი გაჰხდებოდა. მეორე მცხეთა და მეორე ბაზალეთის ტბა საქართველოში სხვაგან არ იქნებოდა.

მრავალჯერ მქონია ამის გამო საუბარი დუშეთის მაზრის შეგნებულ ინტელიგენტებთან, სიამოვნებით გაუზიარებიათ ჩემი აზრი მცხეთისა და ბაზალეთის ტბის მომავლისათვის, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩენილა დღემდე. ახლა აქ საბჭოთა აღმშენებლობის ხანაში დუშეთის აღმასრულებელი საბჭო დიდი სახალხო საქმის წინაშე სდგას. შრომელი ხალხის სიყვარული ავალებს მცხეთისა და ბაზალეთის ტბის აგარაკებად გაშენების საკითხს ყურადღება მიაქციოს. განათლებულ ქვეყნებში საზოგადოებრივ მოღვაწეებს იმდენად აძლევს სიყვარული და სიკეთე შრომელი ხალხისა, რომ უდაბური ადგილები სამკვიდროდ უქცევიათ.

პეტრე მირიანიშვილი.

პირველი ცენტრალური საქარხნო-საფაბრიკო შეგირდების სკოლა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთში დაარსდა ეგრედ წოდებული საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. როგორც ამხ. ჩელიაპოვი გადმოგვცემს „ამ ჟამად რუსეთში არსებობს ხუთასი ასეთი სკოლა. ეს რიცხვი დღითი დღე იზრდება და შეიძლება ვიფიქროთ, რომ 1924 წ. ჩვენ უკვე გვექნება ათასი ასეთი სკოლა. 50 ათასი ახალგაზრდა სწავლობს ამ სკოლებში და მათი რიცხვის გადიდებასთან ერთად ზემო აღნიშნულ ციფრამდე, რა თქმა უნდა, სკოლის მოწაფეთა რიცხვიც გაიზრდება დაახლოვებით იმავე პროპორციით, ე. ი. ასიათას კაცამდე".

მართალია, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ფრიად მნიშვნელოვანი და საჭირო სკოლა არის. ის დებულობს მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებს მუშა-მოსამსახურეთა 14—18 წლამდე და შეასწავლის მათ როგორც ხელობას, ისე თეორიას. და მართალიც „ეს არის სკოლა, რომელიც უნდა გახდეს პირველ საფეხურის სკოლის გაგრძელებით და არასოდეს, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში მის სპეციალურ ტეხნიკურ ხასიათს, არ უნდა გასწიოს პირველ საფეხურის სკოლის მაგივრობა. საქარხნო-საფაბრიკო სკოლის უფრო ნიჭიერმა და ცოდნის მიღების მსურველმა მოწაფეებმა უმაღლეს სასწავლებელში გადასასვლელად უნდა გაიარონ მუშათა ფაკულტეტი. რასაკვირველია, ესენი იქნებიან მუშათა ფაკულტეტის ყველაზე უფრო მომზადებული მსმენელები, მათი მომზადება უფრო გაცილებით მეტი იქნება მანიმუმზე, რომელიც საჭიროა მუშათა ფაკულტეტზე შესასვლელად და მათთვის შესაძლებელი იქნება შემოკლდეს მუშათა ფაკულტეტი 1—2 წლამდე".

სკოლა საქარხნო-საფაბრიკო შეგირდთა შეუძლია შევადაროთ და თითქმის ერთნაირი პარალელი გავატაროთ ყოფილი „სახელოსნო სასწავლებელთან", რასაკვირველია, არის ბევრი განსხვავებაც. მაგალითად, თუ გნებავთ, მაგალითისათვის ჩავუკვირდეთ ტფილისის ყოფილ სახელოსნო სასწავლებლის დახასიათებას.

ჩვენ ნათელი წარმოდგენა გვექნება ამ სასწავლებელზე თუ წავიკითხავთ ანგარიშს ამავე სასწავლებლის, შედგენილს ოდესმე ყოფილ ამავე სასწავლებლის დირექტორ ინჟინერ პოპოვიჩევის მიერ (отчет о деятельности и состоянии Тифлисскаго городского Ремесленнаго училища за 1906 год).

როგორც დირექტორი გადმოგვცემს, სასწავლებელს დაკისრებული ქონია მიზნათ მომზადება ხელოსნებისა და მათი თანაშემწეებისა (мастеров и подмастеров) შემდეგ სამ სპეციალურ დარგებში.

1. საზეინკლო სამჭედლო,
2. სადურგლო-სამოდელო,
3. თუჯისა და სპილენძის ჩამოსხმისა (чугунно и медно-литейная)—შესწავლა ამა თუ იმ დარგისა ხდებოდა— 4 წ. განმავლობაში.

შესანიშნავია ანგარიშებიდან შემდეგ:

1. ყველა მოწაფეები ამ სასწავლებელში დებულობდენ სწავლას უფასოთ.
2. სარგებლობდენ უფასო ცხელი სადილით ყველა მოწაფეები.
3. ღებულობდენ უფასოთ ყველა სახელმძღვანელოებს და სხვა და სხვა.

საინტერესოა აგრეთვე მოხსენებაში მოყვანილი მოღვაწეობა კურს დამთავრებული მოწაფეებისა, მოგვყავს მოხსენებიდან: „1906 წელს მოხდა მე 22 კურს დამთავრება (выпуск) მოწაფეებისა. ამ 22 გამოშვებაზე სასწავლებელს მიუცია 447 მოხელეები და მათი თანაშემწენი სხვა და სხვა სპეციალობით.

ბედი სასწავლებლების დამთავრებულთა სხვა და სხვანაირია. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც სასწავლებელს აქვს სასწავლებლის გამოშვებულნი გამოცდილნი ეწყობიან ცხოვრებაში საკმაოდ კარგად. უმეტესობა მათგანი მსახურობენ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში, უკ ვიეთ მემანქანის ალაგი, (должности машинистов), მათი თანაშემწენი, მოხელეებათ და სხვა.

დაახლოვებითი სტატისტიკა სასწავლებლის დამთავრებულთა მოღვაწეობისა იძლევა ასეთ ციფრებს:

1. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოებში მუშაობენ 43 კაცი.
2. ამავე რკინის გზის სამმართველოებში მსახურობენ ნახაზველებათ (чертежники) 7 კ.
3. მემანქანეებათ და მათი თანაშემწეებათ 93 კ.
4. კერძო სახელოსნოებში და ქარხნებში ტფილისის გარეშე 34 კ.
5. კერძო სახელოსნოებში და ქარხნებში ქ. ტფილისში 51 კ.
6 ეწევიან ვაჭრობას და მუშაობას არა თავისი ხელობის და მიხედვით 17 კ.
7. ეწევიან მეურნეობას 9 კ.
8 აქვთ თავისი წარმოება 35 კ.
9. გამგე სახელოსნო სასწავლებელში 1 კ.
10. იმყოფებიან ხელობის მასწავლებლებათ სასწავლებელში 19 კ.
11. ფოსტა-ტელეგრაფ. ზედამხედველებათ 9 კ.
12. განაგრძობენ სწავლას 8 კ.
13. ეწევიან სამხედრო ბეგარას 17 კ.
14. მიიღეს მღვდლობა 2 კ
15. ეწევიან აგენტობას 2 კ.
16. „ ოფიცრობას 3 კ.
17 მოკვდა 28 „
18. არა აქვს ცნობა სასწავლებელს 73.

რაოდენობა ჯამგირისა, რომელიც დებულობს ყოფილი მოწაფეები, ქანაობს 15 მ.—150 მ. თვეში მოყვანილი ზევით სია კურს დამთავრებულთა მოღვაწეობისას გვიჩვენებს, რომ სახელოსნო სასწავლებელი სრულებით ასრულებს თავის დანიშნულებას, ვინაიდგან მხოლოთ 43 მოწ. (ე. ი. 9 პროც.) შესცვალა თავისი დანიშნულება.

აი მოკლეთ მინდოდა მკითხველისათვის გამეცნო ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი და შემდეგ ახლათ გახსნილ საქარხნო-საფაბრიკო შეგირდების სკოლასთან უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი განსხვავება მათ შორის არ არსებობს. არის მხოლოთ ერთი და დიდი განსხვავება, ის, რომ ეს ახალი სახელით გახსნილი სასწავლებელი მიიღებს მხოლოთ და მხოლოთ მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებს, თუმცა ისედაც ყოფილ სახელოსნო სასწავლებელში მიდიოდა თითქმის 95 პროც. ღარიბებს მცხოვრებლებისა, განსაკუთრებით ბურჟუები არ კადრულობდნენ თავის შვილებს რომ სახელოსნოებში ემუშავათ და ხელები გაესვარათ. უნდა მოგახსენო, მკითხველო, რომ მე ცოტა არ იყოს შორს წავედი და უმთავრეს ჩემს მიზანს ავცდი. უმთავრესი ჩემი მიზანი იყო—გამეცნო მკითხველი ყოფილ სახელოსნო სასწავლებლის ეხლა საქარხნო-საფაბრიკო შეგირდობის სკოლად გადაკეთებულის ეხლანდელი მდგომარეობა.

დიახ, დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს სკოლა გადაკეთდა ახალი სახელის და ტიპის სკოლად. სანამ სკოლა გადავა ოფიციალურათ ისევ ძველი სახელით იყო მოქმედი ინჟინერ ბარიძოვი (გამგე „ნარკომპროსის" სამრეწველო განყოფილებისა) სპეციალურად და განსაკუთრებული მოწვეულობით მოიწვია ამავე სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომა. 5 ოქტომბერს კრებას დაესწრო მეცნიერთა ცენტრალური კავშირის წარმომადგენელი ამხ. ხადიაშვილი „კომსომოლის" წარმომადგენელი მოქ. პიტერსკი და სხვები.

ინჟინერ—ბირიუკოვმა გააცნო სხდომას, რომ ყოფილი გადაკეთებული—საქარხნო—საფაბრიკო შეგირდების სკოლად, გააცნო მისი ძირითადი ცნებანი და მიზანი ახალი ტიპის სკოლისა. კრებამ მოისმინა აგრეთვე ინჟინერ ბირიუკოვისაგან, რომ „სოვნარკომმა" გადასდო სკოლის გასაუმჯობესებლად და შესაკეთებლად 500,000.000 მ. ვინაიდან სასწავლებელში დასადგმელია ახალი დიზელი უფრო დიდი ძალისა. შესანიშნავია მოხსენებიდან ის, რომ სასწავლებელში მიიღებენ შეგირდებათ ბავშვებს 14 წ.—18 წლამდე მხოლოდ და მხოლოდ მუშა-მოსამსახურეთა და განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მუშაობდნენ ქარხნ.-ფაბრიკებში და ახლა უმუშევარნი არიან და გაჭირვებულნი ბირჟაში. ბავშვები უზრუნველყოფილნი იქნებიან ყოველ დღე საუზმე სადილებით. სხდომამ მოიწონა სასწავლებლის ასეთ ნიადაგზე დაყენება; უნდა მოგახსენოთ, რომ როგორც ზევით გავეცანი ცოტაოდენად მკითხველს ყოფილი სახელოსნო სასწავლებელი, ეს უკანასკნელი არსებობს თითქმის 40 წელიწადი და აქვს დიდი წარსული. ძველათ ნიკოლოზის დროსაც აქ არსებობდა სამი განყოფილება: ქართული, რუსული და სომხური და აი სწორედ ახლა, როდესაც უფრო თვალსაჩინოდ შეიძლება სამშობლო ენაზე—სწავლა განვითარება, მაშინ იდევნება სომხური განყოფილება მომხსენებლის გადმოცემით რასაკვირველია ამ კრებამაც [illegible] მოიწვია სომხურ, [illegible] და [illegible] რების უკმაყოფილება, მაგრამ ამხ. ბირიუკოვმა განმარტა რომ, ამის შესახებ იყო კამათი ცენტრში და რადგანაც შეუძლებელია სამი კადრი სპეციალისტების შენახვა, იძულებული შეიქნენ, რომ სომხური განყოფილება დაეკეტათ. მოწაფეები, რომლებიც სომხური განყოფილებაზედ იმყოფებიან, გადაყვანილ იქნებიან ქართულ-რუსულ განყოფილებებში—იმის და მიხედვით, ვის რომელ ენაზედ (ქართულ ან რუსულ) შეუძლია განაგრძოს სწავლა, შეკითხვაზედ—რატომ სომხური განყოფილება იქნა დახურული და არა რომელიმე სხვა მეორეთაგანი? პასუხი იყო ასეთი:—ქართული, როგორც სახელმწიფო ენა და რუსული კი, როგორც კი ყველასათვის უფრო გასაგები. როგორც მოგახსენეთ, ამ საკითხმა გამოიწვია დიდი კამათი და ბოლოს კრებამ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აირჩია კომისია, რათა ეშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, კვლავ სომხურ განყოფილების გახსნა, მაგრამ, როგორც ბოლოს გამოირკვა, ეს საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო და ამით დამთავრდა სომხურ განყოფილების დახურვა, რაც საკვირველი არ იყო. თითქმის ერთ კვირის შემდეგ საბჭოს სხდომისა—დაიწყო განსაკუთრებულ კომისიამ ახალ მოწაფეების მიღება.

(დასასრული იქნება)

გალიკო ადათიშვილი.

მომწიფებული საკითხი

ამ უკანასკნელ დღეებში ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ ტყეზე, მის მნიშვნელობაზე, გაშენებაზე და დაცვაზე. ტყის ინტერესის საკითხი დღეს მთელის თავისი სიმძიმით წამოჭრილია ჩვენს წინაშე, რასაც უეჭველად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ტყის ინტერესი ჩვენში არის იმავე დროს საქართველოს სასიცოცხლო ინტერესი: ჩვენი ქვეყანა უპირველესად ტყით არის მშვენიერი.

ტყეზე უკეთესი მეგობარი არა ჰყავს ადამიანს. სადაც კარგი და ლამაზი ტყეა, იქ უფრო ლამაზია ცხოვრება, უფრო ადვილია სუნთქვა—მეტი სისადავე და სიხალისე. ტყე უძლიერესი იარაღია მზის ენერგიის—სითბოს დასაგროვებლად. სითბო კი სიცოცხლე მასალის ხაზით, დღეს მეურნეობისა და მრეწველობის მთავარი მამოძრავებელი ძალაა!

ტყე, გარდა საშენი მასალისა გვაძლევს საწვავს, სადგამს და სხვა მრავალ საშენ მასალებს; აგრეთვე შაქარს (ნეკერჩხალი), საღებავს და მრავალ ნაირ დამთრიმლავ (дубильных) მასალებს, რომელთაც მრეწველობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვსთ.

ერთი სიტყვით—ტყე ჩვენი მრეწველობის და მეურნეობის საფუძველია.

ტყის გაჩანაგება განაჩანაგებს ჩვენს მრეწველობას და მეურნეობას. ტყის დაავადების ნიშნები ჩვენთვის ცხადია: განადგურებული ტყე შველას ითხოვს და დღეს, როდესაც ხალხი გაფაციცებით ლესავს ნაჯახს, რომ კვლავ შეუტიოს ტყეს უმოწყალოდ და უაზროდ ჩეხვას, ჩვენ უნდა შევაჩეროთ და დაუყოვნებლივ მივიღოთ ყველა ის ზომები, რომელიც აუცილებელია ტყის გადარჩენისათვის და მოხმარებისათვის და დაცვისათვის. ეს ჩვენი ტყის მეურნეთა და საზოგადო ორგანოთა პირველი ამოცანა არის. მხოლოდ ამ ამოცანის შესრულებითაც ჩვენ შორს ვერ წავალთ.

შენიშნულია, რომ საქართველოს ტყის მეურნეობაში მხოლოდ ერთი მხარეა განვითარებული—სახელდობრ ტყის ჩეხვა. ტყე იჩეხება, კეთდება, ნადგურდება, ისპობა.

სატყეო რაიონების მეთაურები (მოურავეები) დაძალოვნებული არიან ტყის განხარჯვაზე... გაშენებაზე და წარმოებაზე კი ნაკლებად ფიქრობენ. ეს გარემოება უეჭველად დამაფიქრებელია და მოითხოვს დაუყოვნებლივ ანგარიში გაწევას!

ეს არის მეორე უძლიერესი და მთავარი ამოცანა, რომელიც ნათლად წამოიჭრა ჩვენს წინაშე და რომლისთვისაც სატყეო ორგანოთა ძალა საკმარისად ვერ ჩაითვლება.

ტყეთა გაშენებაში მთელმა ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა, ყველამ უნდა გამოიღოს თავისი წვლილი რითაც კი შეიძლება: შრომით, სურსათით, ფულით—რომ დაუბრუნოთ მხარეს ჩვენს მიერვე წართმეული სიმტკიცე, ტყეთა სიმრავლე და მთლიანობა, რათა სტიქიურ ძალასაც კი უშიშრად შეხვდეს. ასე უნდა მოიქცეს ქალაქადაც.

რადგანაც საჭირო და აუცილებელია, პრესაში უკვე აღნიშნა, რომ ტყის განადგურებას მოჰყვება მაღლობი ადგილების გახრიოკება, გავერანება, ნიაღვრობა და სხვა.

ამ მოვლენების შედეგები კი უსაშინლესია არა მარტო მეურნეობისთვის, არამედ თვით სოფლისათვის, ხალხისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას. რომ ტყე სითბოს, საშენი მასალის და სხვა უამრავი საჭირო მასალების მოცემის გარდა—არის პირველი და საუკეთესო ჰაერის, ჰავის რეგულიატორი და ჯანმრთელობის განმტკიცებელი; თუ გავითვალისწინებთ, რომ სოფლის და ხალხის უპირველესი [illegible] წყაროს, მდინარეების ნორმალური მიმართულება, მიზანშეწონილი ხარჯვა და მარაგი—სავსებით დამოკიდებულია ტყეზე, რომ ტყე აჩერებს ზამთრის სუსხსა და სიცივეებს ისე, როგორც ზაფხულის სიცხე-პაპანაქებას, რომ ეს რეგულიაცია არის სასოფლო მეურნეობისათვის და კარგი მოსავლიანობის პირველი და საუკეთესო პირობა,—უნდა დავასკვნათ, რომ განსაცდელში ჩაყენებული ტყე და მით ჩვენი სოფლ. მეურნეობა დაყოვნებას ველარ აიტანს და სასწრაფოდ უნდა იქმნეს მიღებული ყოველივე ის ზომა, რომელიც ტყეს აღადგენს, დაბზარულ ხრიოკებს გამართავს და მით სოფელს სიმტკიცეს დაუბრუნებს!..

ზომების მიღება საჭიროა საქართველოს სრული მასშტაბით,

კერძოთ ტფილისის მიდამოებში ტყის გაშენებაც უდიდესი საქმეა, ეს აზრი ახალი არ არის, მაგრამ წარსულში საკითხის მოუმწიფებლობის გამო ამის შესრულება გაცილებით ძნელი იყო, ვიდრე დღეს.

დღეს ამ საკითხზე ლაპარაკობს სახალხო კომისარიატი, ქალაქის საბჭო, მეურნე, სტუდენტი და უბრალო მოქალაქე,—ისინ ამ საკითხმა ყველა დააინტერესა, რომლის სიდიდეც ცხადი უნდა იყვეს ყველა მათთვის—ვისაც ტყე უყვარს, ვისაც სურს ტფილისის სილამაზის, სისაღის აღდგენა და განდიდება.

კეთილი საშვილიშვილო საქმე და ყურადღებამ დაუყოვნებლივ უნდა გაშალოს, გააფართოვოს საქმიანობის არე!

პრესაში აღნიშნული ზომები, როგორც არის ბროშურების გამოცემა, სიტყვიერი პროპაგანდა და ამავე საკითხისათვის—ტყის აღსადგენად—ორგანიზაციების შექმნა—სასწრაფოდ უნდა გატარდეს ცხოვრებაში, თუ გვინდა, რომ დრო ხელიდან არ გაუშვათ და საკითხი, ხმის აღსრულებას დაყოვნებითი ხასიათი არ დასჩემდეს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ უმთავრესად ყურადღება მისაქცევი არის სოფლები (წალაპური, კუმისი, ხატის-თელეთი, შინდისი, წავკისი, ოქროყანა, ბაგები და სხვ.), რომლებიც ტფილისს გარს არტყიან.

ამას ფაქტები და მაგალითები გვიკარნახებს.

ქალაქიდან ორთაჭალის მარჯვენა მხრივ მაღლობებზე გაშენებულია ხელოვ-

ვნული, ეგრედ წოდებული „სამთო კულტურული ტყე“ (Горно—культурное лесничество), რომელზედაც საკმაოდ დიდი შრომა და თანხა არის დახარჯული.

როგორ ექცევიან ამ კულტურულ ტყეს მახლობელი სოფლები?

უნდა ითქვას, რომ—ძალიან სასტიკად და უგუნურად. არც ორთაჭალის და კრწანისის მცხოვრებნი აკლებენ ხელს: ამ, მართლადაც მშვენიერს, ლამაზს და დიდად მნიშვნელოვან ტყეს საქონლის შესვლას არ აკმარებენ: შემოდგომაზე და ზამთარში სჭრიან წვეთა და დაგვით მოჭრილ ხეებს და მოაქვთ ტფილისში გასაყიდათ!

ეს საშინელი მოვლენა არის და ვფიქრობთ, თუ ჩვენ მართლადაც გვინდა ტფილისის გამშვენიერება, ქალაქის სისაღის, სილამაზის, ტყეთა აღდგენა—გაშენება უპირველესად ყურადღება გარშემორტყმულ სოფლებს უნდა მიექცეს.

ხოლო უმთავრესი ის არის, რომ ზემოაღნიშნული სოფლების და თვით ქალაქის მცხოვრებთაც უახლოესი მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ ტფილისის მიდამოების ტყით გაშენებაში და გამშვენიერებაში, რასაც ორი უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

ჩვენის აზრით—ამ დიადი საქმის აღსრულებას ამ შემოდგომაზევე უნდა შევუდგეთ და თუ ეს ასე მოხდა,—საჭირო დაუყოვნებლივ ტფილისის გარშემორტყმულ სოფლებში ეხლავე შეიქმნას დამხმარე ორგანიზაციები სიტყვიერ პროპაგანდისა და მუშაობა-დახმარების საწარმოებლად.

რაიც შეეხებათ ქ. ტფილისის მცხოვრებთ—მათ უეჭველად უნდა მოეთხოვოთ (დაევალოთ) ფინანსიური დახმარება. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ ქალაქის აღმასკომის მიერ გადადებული ნახევარი მილიარდი მანეთი ვეჭვობთ ეყოს ამ უდიდესი საქმის ღირსეულად შესრულებას.

ტფილისის მცხოვრებთა საერთო რაოდენობა 350.000 მაინც იქნება და „მშვენიერ ტფილისისათვის“ გადასახადი (მინიმუმი) 100,000 მანეთიც რომ დაწესდეს თვითეულ მცხოვრებზე ჩვენ შეგვეძლება საკმაო თანხის შეკრება, რომელიც უეჭველად დიდ დახმარებას გაგვიწევს.

ხოლო მთავარი იქნება ის, რომ ყოველი მოქალაქე მიიღებს ამ უდიდეს, საერთო საქმეში მონაწილეობას. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქისათვის ტყის სიახლოვეს და რამდენად სერიოზულად უყურებენ ამ საკითხს ევროპაში, ამაზე სხვა დროს.

ხვდ. ჭიჭინაძე.

მოწერილი ამბები

ერთი ტეხნიკუმის ბედის გამო.

3—4 წელია რაც ლანჩხუთში დაარსდა საშუალო სამეურნეო ტეხნიკუმი, ასეთ სიმპატიურ საქმის დაწყებას აქაური და ახლო თემის მცხოვრებნიც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. უნდა ითქვას, რომ გურიაში ამ უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დიდი ენერგიით ეკიდება გლეხობა კულტურულად დამუშავებას მიწისას, ნაყოფიერ და სასარგებლო მცენარეულობის გაშენებას. ზღვის სიახლოვის (სითბო) და მიწის მეტის მეტ სინოყივრის გამო კულტურულ მცენარეულობის მოშენება ჩქარის ტემპით წავიდა წინ. უწინ ლიმონის, ფორთოხალის, მანდარინის და სხვა ჯიშებს იშვიათად თუ შეხვდებოდით, დღეს თქვენ ვერ ნახავთ ერთ ოჯახსაც კი, რომ რამოდენიმე ათეული და ასეული კულტურული—არგავებისა არ ქონდეს გაშენებული. აქაურმა მიწის მუშამ ამ კარგ საქმიანობასთან ერთად მიწის კულტურულ დამუშავებასაც მოჰკიდა ხელი. მამა-პაპური კავ-სახნისი იცვლება თანდათან გაუმჯობესებულ გუთნებით. ერთი სიტყვით გლეხები ახალ საქმით საერთოდ ძალიან დაინტერესებული იყვნენ და ხსენებულ სამეურნეო სკოლის გახსნას დიდი იმედითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ. საუბედუროდ ამ სკოლის გამგეების საქმიანობამ საქმე არამც თუ წასწია წინ და იმედები გაუმართლა მცხოვრებთ, წინააღმდეგ, ისეთი ძიმე მდგომარეობა შეიქმნა ამ სკოლის ირგვლივ, რომ მგონი მისი გამოსწორება შეუძლებელი დარჩეს მომავლისათვისაც.

მამული, რომელიც ეკუთვნის სკოლას და უმეტესად კერძო შემოწირული არის, მიუხედავად მთავრობის დიდი დახმარებისა, ფულით თუ ინვენტარით, ამდენ ხანს შეუღობავ-შეუკავებელია და მიგდებული· ის თითო ოროლა ნარგავებიც კი, რომლებიც დიდი გაჭირვებით იქნა დარგული საქონლის მიერ გადახრულ-გადაჭიმულია. ამ მამულის მშვენიერ ფენებზე, რომელზედაც ამ დენახას რაიმე კულტურული მცენარე უნდა მოშენებულიყო, ან და გაეწმინდათ მაინც გაუვლელი ვარდეკლებით არის ეხლაც შემოსილი. ვფიქრობდით, რომ ახალ რასმეს აჩვენებდნენ, მიწის დამუშავებასა თუ მცენარეულობის მოშენებისას დაინტერესებულ მცხოვრებთ... მაგრამ სირცხვილი არის?!.. ზოგს ამის უნარიც დაკარგული აქვს... დაამუშავეს რამოდენიმე ქცევა მიწა და სიმინდი დასთესეს. მერმე როგორი მოუვიდათ?!.. მეზობელმა მუშებმა, რომ სიმინდის ტეხა-შეგროვება იწყეს, მაშინ მათი სიმინდი სრულიად ნედლი და გამოუსადეგარი იყო, ჩალათაც კი. ასე იყო წელს, ასე იყო გასულ წელსაც.

ერთი სიტყვით კულტურულ მეურნეობის ჩვენებს, ერთგვარ შეჯიბრების მაგიერ აჩვენებს, უცოდინარობა უილაჯობა და მომავლიანი საქმე გაამასხარავეს.

თუ მამულის საქმე წამხდარია, არა ნაკლებ ცუდ მდგომარეობაში არის თვით სკოლის საქმეც.—გახსნისთანავე საკმაო რიცხვი მოწაფეებისა იქნა მიღებული სკოლაში. უნდა ითქვას მოწაფეებიც და მასწავლებლებიც ძალიან დაინტერესებული იყვნენ, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ყველაფერი ამ სკოლის საქმიანობაში არ იყო მკვიდრ ნიადაგზე აშენებული და რასაკვირველია უნდა დაფუშულიყო.. ჯერ იყო და ბინის გამონახვა არ მოხერხდა. ხან ერთ სასწავლებელში იყო მოთავსებული სკოლა და ხან მეორეში, ისიც იმის მიხედვით, თუ როდის სწყდებოდა მეცადინეობა ხსენებულ სკოლებში. ამ პირობებში ნორმალურ სწავლის შესახებ ფიქრიც კი მეტია. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვხედავდით, რომ სამეურნეო სკოლაში, არც ერთი სპეციალისტი მასწავლებელი არ იყო. მართალია ადგილობრივ სპეციალისტ მასწავლებლების შოვნა არ შეიძლება, მაგრამ ნუ თუ ჩამოყვანა არ შეიძლებოდა? და თუ ეს შეუძლებელი იყო, ამის ცოდნა წინასწარ იყო საჭირო. მაგრამ იქ, სადაც პასუხისმგებლობის შეგნება ნაკლებ აქვთ მეთვისებული საზოგადოებისა და მოწაფეთა წინაშე, ნუ თუ მთავრობის წინაშე მაინც არ უნდა იყოს ეს პასუხისმგებლობის შეგნება სავალდებულო?

ჩვენ გადმოგვცეს, რომ ამ სამეურნეო ტეხნიკუმის დახურვა უკვე გადაუწყვეტია მთავრობას და მიუცია წინადადება გამგისათვის მოამზადოს ყოველივე ჩასაბარებლად. ჩვენ ტეხნიკუმის დახურვაზე არას ვიტყვით, ის დაკეტილიც იყო აქამდე ფაქტიურად, მხოლოდ ჩვენ გვგონია, რომ ის ქონება, ინვენტარი, საქონელი და სხვა, რომლის შეძენაში ადგილობრივ საზოგადოებას დიდი ღვაწლი მიუძღვის, უსათუოდ უნდა დარჩეს ადგილობრივ, საერთოდ კი საჭიროა მთავრობამ მოახდინოს რევიზია და გამოარკვიოს ყოველივე, რომ იმ მითქმა-მოთქმას, როდესაც სდგილი აქვს საზოგადოებაში—ბოლო მოეღოს.

Agricola

თეატრი და ხელოვნება

კ. მარჯანიშვილის ახალი თეატრი.

ნოემბრის პირველ რიცხვებში ტფილისში გაიხსნება კ. მარჯანიშვილის ახალი თეატრი. კ. მარჯანიშვილის თეატრი მოთავსებული იქნება ყოფილ სახელმწიფო მცირე თეატრის დარბაზში, რომლის შეკეთება დამთავრდება ამ დღეებში. თეატრის შენობას კაპიტალური რემონტი ეძლევა.

განსაკუთრებული დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სათეატრო დარბაზის და სცენის ხელახლად ახალ პლანზე გადაკეთებას. დარბაზის იატაკი ისეა აწეული, რომ უკანა რიგებიდან მაყურებელი დაუბრკოლებლად დაინახავს სცენას და მის მოწყობილებას. მაყურებელთა დარბაზი და სცენა შეერთებულია პროსცენიუმით. სუფლიორის და რამპის განათებული ადგილები მოსპობილია, საერთოდ სცენის ტეხნიკაში შეტანილია ბევრი ცვლილება. სცენა გაყოფილია ექვს პლანად, რომლის საშუალებით ყოველ პიესას თვისი პერსპექტივები ექნება. სცენის ტეხნიკურად მოწყობილობა მინდობილი აქვს სცენის გამოცდილ მაშინისტს სეველიევს. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აგრეთვე სინათლის ეფექტებს. დადგმულია ექვსი რეოსტატი. მიუნხენის თეატრის მიხედვით გაკეთებული იქნება მოძრავი სოფიტები, გაუმჯობესებულია ელექტრომონტიოროვკის საქმეც. თეატრს ჰყავს საკუთარი ორკესტრი, რომელიც მოთავსებული იქნება დაფარულ ორკესტრში. ხელახლად დახატულია სცენის ფარდა პეტროგრადის მხატვარ დომრაჩევის ესკიზებით. მხატვრები კონსტანტინოვი და გამრეკელი მუშაობდნენ ამ ფარდაზე.

ბუფეტი ჩატანილია ქვევით. საერთოდ თეატრის დარბაზის ახლო, ხმაურობის ასაცდენად, არავითარი გასართობი არ არის მოწყობილი. დამზადებულია ახალი დეკორაციები. პირველ რიგში დაიდგმება პიესები: „ყვითელი კოფთა“, „სალომეა“ „მეფე მაქსიმილიანე“ და რამოდენიმე პანტომიმა.

რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი და ვ. მარგარიტოვი დიდ ენერგიულ მუშაობას ეწევიან. კ. მარჯანიშვილმა უკვე შეიძლო თავის დისციპლინის და სისცენო კულტურის დამყარება არტისტთა შორის. წელს უნდა მოველოდეთ უსათუოდ დიდ მხატვრულ დრამატიულ თეატრს, რომელსაც უსათუოდ დიდი მიზიდვები ექნება.

ამის თავდებია რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

ახლობელი.

სახელმწიფო ოპერის თეატრი.

აიდა.

ეჭვი არ არის, რომ ტფილისის საოპერო თეატრის დირექციამ დაისახა მიზნად მოაწყოს საოპერო წარმოდგენები რაც შეიძლება მხატვრულად. „აიდა“—„კარმენის“ შემდეგ, მეორე დიდი სათეატრო დღეა რეკლამით გამოცხადებული იყო ახალი დადგმა ოპერისა და მხოლოდ ერთი სახელი რეჟისორ ბოგოლიუბოვისა გვაიმედებდა, რომ დადგმა იქნებოდა ბრწყინვალე.

სპექტაკლის ინტერესი, რასაკვირველია, გაიზარდა მით, რომ დირიჟორობდა ვანო ფალიაშვილი და მთავარ პარტიებს ასრულებდნენ ტფილისისათვის ახალი მომღერლები: ქ-ნი პეტლიაში (აიდა) და ბ. ბაგრინოვსკი (რადამესი) დანარჩენი პარტიებიც იყო განაწილებული მიზანშეწონილად.

უმთავრესი კი იყო დადგმა, როგორიც ტფილისს ჯერ არასოდეს არ უნახავს მიუხედავად იმისა, რომ „აიდა“ ყოველთვის იდგმებოდა კარგად სცენაზე. გაცოცხლდა ძველი ეგვიპტე.

ჭეშმარიტად, დადგმაში იყო ამდენი რეალიზმი, იმდენი ცოდნა, მხატვრული გემოვნება, რომ იმაზე იქით წასვლა, ჩემის აზრით, შეუძლებელია.

ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მე მოკლე რეცენზიაში ვეცდები ვთქვა ის, რაც იყო მაშინ სცენაზე.

პირველი სურათი, აშკარაა, წარმოადგენს ფარაონის და მის ამალის ფრეის რეზიდენციის გარეუბანში, ისტორიული სცენების ძირთან ძალიან რეალურათაა გამოხატული უზარმაზარი სფინქსი-ღმერთი. ეტყობა სასწრაფო ბჭობაა ფარაონისა ეგვიპტის უხუცესებთან ეფიოპების ფვაზზე საშიშარ თავდასხმის გამო.

აქ არის პირველი სცენა ეგვიპტის მეფის ასულის—ამნერისის, სარდალ რადამესის და მონის (ეფიოპის მეფის ქალის)— აიდის.

მომხიბლავი trio, სადაც მუსიკა ასე რეალურად გადმოგვცემს აიდას და რადამესის სასიყვარულო ინტრიგებს, ამნერისის მრისხანებასა და ეჭვიანობას და ბოლოს აიდას სასოწარკვეთილებას. განთიადი—ძალიან ლამაზათაა ხმარებული სინათლის ეფექტები მზის ამოსვლის დროს. მეორე სურათი—ოზირისის ტაძარი—სურათი სავსეა საიდუმლოებრივი მისტიციზმით. მეფის ასული, ქურუმები და ხალხი ლოცულობენ გამარჯვებისათვის.

ფალიაშვილმა ახალი ელფერი მისცა ამ სცენას და ორკესტრის აკომპანიმენტი თითქოს არის „სურდინკის“ ქვეშ, ხოროც მღერის pianissimo.

მომენტის სიდიადეს განიცდის ყველა.

რა მშვენიერნი არიან მოცეკვავენი ტაძრის სვეტებთან.—ეს თითქოს გაცოცხლებაა იეროგლიფების—იმდენად ცეკვა და მანიპულაციები მოცეკვავეთა პლასტიური და სტილიურია.

მესამე სურათი—ამნერისის საწოლი. მღერიან მონა ქალები, ცეკვავენ მონები.

სცენა რეალურია. მეფის ქალი დასევდიანებულია, რადგან გრძნობს, რომ მას ყავს საშიში მეტოქე.—

სცენა სრულდება ამნერისის და აიდის დუეტით. აქაც მუსიკალური ილუსტრაცია ძალიან შესაფერისია ეგვიპტის მეფის ასულის და აიდის სასოწარკვეთილების, რომელიც გრძნობს მეტოქის საშიშროებას.

შემდეგი სურათი—კულმინაციური მომენტი დადგმისა.

სცენაზე არიან: ფარაონი, მეფის ასული, უხუცესები, ქურუმთა სინკლიტი, მოცეკვავე ქალწულები, ჯარი, ხალხი—და ყველაფერი ეს ცოცხლობს, ღელავს, ინძრევა და ისე ზომიერად, პლასტიურად—თითქო [illegible] ხელმძღვანელობს უჩინარი ხელი მხატვარისა.

ბალეტი—პანტომიმა „ბრძოლა ოზირისისა სეტთან“ (ორი ეგვიპტის ღვთაება სინათლისა და წყვდიადისა) დადგმულია ბალეტმეისტერის მიერ. სურათი განსჭვალულია სიმბოლიზმით—იმარჯვებს რასაკვირველია ოზირისი.

ლამაზად და პლასტიურად ცეკვავს ბალეტი.

ეფექტით არის მოწყობილი გამარჯვებულ რადამესის გამოცხადება და შემდეგ ტყვე ეფიოპების მოყვანა.

სცენა სრულდება ორი დიდებული ფინალით.

მღერიან ხოროს სოლისტები ორკესტრის პოლიფონიურ აკომპანიმენტით და აქ არის მხატვრული თავისებურობა ბ-ნ ფალიაშვილისა.

პირველ ფინალში maestro კარდინალურ ყურადღებას აქცევს არა ბგერის გრძლიობას, არამედ მუსიკალურ ილუსტრაციას.

ის ხაზს უსვამს აქ დინამიურ ჩრდილებს და ნიუანსებით გამოყოფს ცალკე ვოკალურ პარტიებს, თან ხმარობს სადაც საჭიროა ralentando, ეს ახალია და ლამაზი.

მესამე მოქმედება ნილოსის ნაპირზე ოზირისის ტაძართან იდგმება ისევ Mise en scene ზარის გამონაკლისით, ქურუმები სანათურებით.

ჩემის აზრით აქ არის ერთი შეცდომა დადგმაში: აიდა უნდა გამოჩნდეს მაშინ, როდესაც ამნერისი, ქურუმები და მთელი პროცესია იმალება ტაძარში—ვინაიდან რადამესისთვის შეუძლებელი იყო დაენიშნა პაემანი ტაძართან, სადაც იმყოფება პროცესია და მისი და აიდასი საიდუმლო მტერი—ქურუმები მეფის ქალი.

სავსეა საიდუმლოებით სასამართლოს სცენა—კამერებით ჯურღმულში, სადაც უნდა ჩაკლონ სამშობლოს მოღალატე—რადამესი.

საშინელნი არიან ქურუმები რამფისის მეთაურობით.

ძალიან მოქმედობს ვარდების გაწევ-გამოწევა...

გადავდივარ რა შესრულების კრიტიკაზე უნდა ვსთქვა, რომ აქ იყო როგორც პლიუსები, ისე მინუსებიც.

აიდა—ქ-ნი პეტლიაში, რომელსაც აქვს დრამატიული სოპრანო, სწორე, დაბალი და მშვენიერი საშუალო რეგისტრით; ზეითი რეგისტრები ვითომდა მოკლეა, მაგრამ მესამე მოქმედებაში მსახიობი გაერთო მღერაში (არია ნილოსთან და დუეტი) და ეს შთაბეჭდილება მოისპო.

სჩანს კარგი სკოლა, მუსიკობა, ფრაზიროვკა.

მსახიობის მიმიკა—ეს განცდის გამა, ტემპერამენტიც აქვს.

საუკეთესო ადგილი შესრულებაში—მე 3 მოქმედების „ჩემო ღმერთებო“ თხოულობს უფრო მეტ ლირიზმს და განწყობილებას ყურადღება უნდა მიექცეს დიქციას.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა აგრეთვე ტენორ ბაგრინოვსკიმ. ჩემი აზრით ეს უფრო ტენორი Mezze caraetere, ვიდრე დრამატიული. მთავარი პლიუსი მისი მაინც არის კანტილენა და საშუალო რეგისტრი. დრამატიული ტენორისათვის ხმაში არ არის საკმარისი ხლეჩობა და ლითონი.

მომღერალი ი. ბაგრინოვსკი ძალიან კარგია. მომღერალს მშვენიერი დიქცია აქვს,

ქ-ნი ბორონკინას შესახებ, მე ვიმეორებ, რომ ამნერისის პარტია არ ეგუება ნიჭიერ მსახიობის ხასიათს. ეს პარტია მოითხოვს დრამატიულ Mezzo soprano. კარგია ლირიკული ადგილები სასამართლომდე, სადაც მსახიობი ხალისით ასრულებს პარტიას. გარეგნულ შეხედულობით მსახიობი ბორონკინა ლამაზი და პლასტიურია, მაგრამ ეს ამნერისი, მკაცრი ქალი არ არის, არამედ დალილა.

მომღერალი ძალიან მოუსვენარია, განსაკუთრებით პირველ trio-ში და აიდასთან, ტაძარში ხმა ისმის მკრთალად დრამატიზმის უქონლობის გამო. მღერის ქ-ნი ბორონკინა მუზიკალურად.

ტიპიური რამფისი—ბ-ნი ისეცკი პერგამენტულია,—მაგრამ რატომ აქვს რამფისს მწვანე თმა და წვერი?

ბ. ინაშვილი იყო ხმაზე და მშვენივრად იმღერა ამონასრის პარტია და მშვენიერი ხმა აქვს აგრეთვე ბლაგობრაზოვს (ეგვიპტის მეფე).

დიდებულად ხელმძღვანელობს ორკესტრს ბ-ნი ფალიაშვილი ის მშვენივრად აძლევს აკომპანიმენტს მომღერლებს და სახავს საორკესტრო მხარეებს.

პ. ბებუთოვი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

ხვალ, 29 ოქტომბერს
დიდუბეში იპოდრომზე
გაიმართება
დოღი
დასაწყისი დღის პირველ საათზე
შემდეგი დოღი 5 და 7 ნოემბერს. 1—1

განცხადება

ევალება ყველა აბონენტებს

რომ წყალსადენის ბოქის ზევითა სარქველი, რომლითაც იკეტება სახლის წყალი, აბონენტი ვალდებული არის, რომ ჩანდეს სარქველი და არ იფლებოდეს მიწაში. თუ უბრალო მიწის მოთხრით სარქველი ვერ აღმოჩნდა, აბონენტს ნება აქვს აცნობოს წყალსადენის სახელოსნოს (კიროჩნი ქ № 53 ტელეფ. 1-38) ამის შესახებ, სახელოსნო აღმოაჩენს სარქველს აბონენტის ხარჯით, ეს დავალება აუცილებელია, ვინაიდან სარქველები მიწაში იფლება და დაკეტვის დროს არ სჩანს, რომლის გამო ქალაქს აქვს დიდი ხარჯი მის საძებნელად.

აღმასკომის პრეზიდ. წევრი დ. ბაქრაძე.

2—2 საქმის მწარმოებელი ნ. ქვირიშიანი.

[illegible]
საქართვ. უმაღ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩა